სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია

პროგრამა შედგება სამი შესაბამისი მოდულისაგან, რომელთაც გააჩნიათ ერთი საერთო კურიკულუმი

სადოქტორო პროგრამის მოდულების სახელწოდება
სოციალური ფსიქოლოგია. Social Psychology.
პოლიტიკური ფსიქოლოგია. Political Psychology.
კულტურული ფსიქოლოგია. Cultural Psychology.

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

ფსიქოლოგიის დოქტორი
PhD in Phsychology

3. პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი შალვა აბზიანიძე.

მიზნები: სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს ანალოგიური სამაგისტრო პროგრამის უშუალო გაგრძელებას და მიზნად ისახავს:

- სტუდენტს მისცეს გაღრმავებული ცოდნა ფსიქოლოგიის შესაბამის დარგებში;
- ხელი შეუწყოს დოქტორანტს სადოქტორო დისერტაციის შესრულებასა, დაცვასა და აკადემიური ხარისხის (PhD) მოპოვებაში;
- სტუდენტი მოამზადოს უმაღლეს სასწავლებელში აკადემიური მოღვაწეობისათვის.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების სრული კურსის გავლის და სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ დოქტორს ექნება არჩეულ დარგში ღრმა თეორიული ცოდნა, კვლევის მეთოდებიისა და სტატისტიკური ანალიზის გამოყენების უნარ-ჩვევები და უმაღლეს სკოლასა და სხვა შესაბამის ორგანიზაციებში მუშაობის კომპეტენცია.

შედეგი: სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- უნდა ფლობდეს საფუძვლიან, ღრმა ცოდნას სოციალურ, პოლიტიკურ და/ან კულტურულ ფსიქოლოგიასა და მეცნიერების მოსაზღვრე დარგებში;

- უნდა ფლობდეს უმაღლეს სკოლაში სალექციო კურსების მაღალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე წარმართვის უნარ-ჩვევებს;
- დაიცვას სადოქტორო დისერტაცია და მოიპოვოს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი.
-

5. მიღების წინაპირობები და წესი: სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის გავლის მსურველს დამთავრებული უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ან იყოს 5 წლიანი სწავლების დიპლომირებული ფსიქოლოგი და დააკმაყოფილოს დოქტურანტურაში ჩარიცხვის წესები.